პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 სამშაბათი 19 ოქტომბერი № 246 (16676) ფასი 2 კაპ. 1976

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

20-22 ოქტომბერს თბილისში ეწყობა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე:

„ლენინური ეროვნული პოლიტიკის განსორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით“

კონფერენცია 20 ოქტომბერს დილის 10 საათზე გაიხსნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. (რუსთაველის პროსპექტი, 8).

ოქტომბრის დიადი მონაპოვარი

ბიდან სამოდე კვირა, და ვიზეიმებთ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავს. ორმოცდაცხრამეტი წელია დიდი ლენინის მიერ ჩაყრილ საძირკველზე ცხოვრობს, ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება. ეს საძირკველია პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობა.

ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ საბჭოთა ქვეყანაში ნათელი მომავლისათვის გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის პროცესში ჩამოყალიბდა ახალი ადამიანი, რომელშიც შერწყმულია იდეური რწმენა, სიხალეტაკე, ცოდნა და უდიდესი სასიცოცხლო ენერგია. იგი ყოველივეს იყო და იქნება მხურვალე პატრიოტი და თანმიმდევრული ინტერნაციონალისტი.

განა თავიდანვე, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველსავე წლებში ასეთი მომავლის რწმენით, ასეთი ენერგიით, ძმური, მეგობრული გრძნობით არ გამოუწოდა ხელი რუსეთის პროლეტარიატმა საქართველოს მშრომელებს, რათა ჩვენშიც გაემარჯვა სოციალისტურ რევოლუციას. ამ ბრძოლაში არაერთმა რუსმა, უკრაინელმა და სხვა მომძე ერების წარმომადგენელმა დადო თავი ჩვენი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის?

განა მეგობრობის, ძმობის დიადი გრძნობა არ ამოძრავებდა მოსკოვის პროლეტარიატს, როცა თვითონ იკლებდა და საქართველოში გზავნიდა მაუდის ფაბრიკის მოწყობილობას, რათა ახალგაზრდა მომძე საბჭოთა რესპუბლიკა წელში გამართულიყო?

განა ქართველმა, რუსმა, უკრაინელმა, აზერბაიჯანელმა, სომეხმა და სხვა მომძე ეროვნების მეგობრებმა, ყველამ ერთად არ დაჰკრეს ბარი ჩვენი პირველი დიდი ჰიდროელექტროსადგურის „ზაჰესის“ მშენებლობაზე, რომელიც ლენინური „გოელროს“ პირშვო იყო?

განა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ერთიან ოჯახში, ყველა მომძე რესპუბლიკის ურთიერთდახმარებით არ მოვაშუშეთ პირველი მსოფლიო ომის მძიმე ჭრილობები, არარაობიდან გიგანტური ნაბიჯებით არ წავწიეთ წინ ჩვენი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება?

ალექსი სტახანოვმა ქვანახშირის მაღაროში გმირობის, და მამაცობის ცეცხლი რომ დაანთო, ყველა ადრინდელი ნორმები რომ მიანგრა-მოანგრია, ეს ხიხლის ტალღა, შრომის ეს ახალი ერის დაბადება ჭეთურაში მისმა მომძმემ ვასილ სმეხარაძემ გაიმეორა. გაიმეორეს სხვა მომძე რესპუბლიკების მკლავმოუღლელმა ვაჟკაცებმაც. და... სტახანოფური მოძრაობა მარტო ძველი ნორმების აფეთქება კი არა, ამავე დროს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, ურთიერთდახმარების სწორუპოვარი დემონსტრაცია, ლენინური მეგობრობის დროშის დიადი გამარჯვება იყო.

ეს წმიდა დროშა მიგვიძღვოდა და გვფარავდა, გვამხნევებდა, გვრაზმავდა და გამარჯვების წყურვილით აღგვფრთოვანებდა დიდ სამამულო ომში. მეგობრობამ, ძმობამ, სიყვარულმა ხაზღვარი არ იცის... ჩვენი დიადი სამშობლოს, საბჭოთა კავშირის ყოველი მტკაველი მიწისათვის, ყველა, ვინც ხად უნდა ყოფილიყო, იბრძოდა თავგანწირვით, ნისლის უკანასკნელ წვეთამდე.

თბილისში, მეგობრობის მუზეუმში გაცოცხლებულია სამშობლოს დამცველთა ამ ვაჟკაცობის, თავდადების, მეგობრობის სწორუპოვარი ეპოზოდები...

რა ძალას შეეძლო გაეჩინა ქვეყნად გმირი პამფილოველები, ზოია კოსმოდემიანსკაია, გასტელო, ნურწუმია, გამცემლიძე და სხვა უამრავი გმირი, ადამიანზე უფრო მაღლა მდგომი ადამიანები, რომელმაც შეეძლოთ თავიანთი სიკვდილით თვით სიკვდილიც დაემარცხებინათ, რომლებსაც შეეძლოთ მკერდით გადაფარებოდნენ ტყვიამფრქვევის ამბრაზურას, აფეთქებულიყვნენ თვითმფრინავთან ერთად, გაეწირათ თავი და მომძე და სამშობლო გადაერჩინათ. ეს შეეძლო მხოლოდ იმ მძლეთამძლე დროშას, რომელსაც აწერია დიადი ლენინური მეგობრობა.

კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა ლენინმა ბრძოლახა და შრომაში გამოსჭედეს, გამოწრთეს ეს ძირსდაუხრელი დროშა.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ დიდ როლს, რომელიც რუსმა ხალხმა და დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ შეასრულეს ჩვენი რესპუბლიკის უახლეს ისტორიაში, სამოქალაქო ომის წლებში, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის, დიდი სამამულო ომისა და მშვიდობიანი მშენებლობის წლებში. აბიტომ მთელ ჩვენს თაობას უნდა მზრდიდეთ დიდ რუს ხალხთან, საბჭოეთის ყველა ხალხთან მეგობრობისა და ძმობის ხელისკენთებით.

გაანალიზა რა სსრ კავშირის შექმნის ორმოცდამეათე წლისთავისა და დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცდამეათე წლისთავის მნიშვნელობა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ხალხთა ლენინური მეგობრობისათვის დაუცხრომელმა, მგზნებარე მებრძოლმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა აღნიშნა:

„ბანგლილი ნახეთარი საუკუნის შრომითის მიღწევაში, დიდი სამამულო ომის საბრძოლო საგმირო საქმეებში შეიძმნა და გამოიწრთო ჩვენი ქვეყნის ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ერისა და ეროვნების ურღვევი ერთიანობა...

მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობის, შეკვეთებში საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების, საბჭოეთისათვის, ჩვენი საგუშაგოლსათვის სიამაყის, სოციალიზმის მონაკოშვართა დასაცავად მზადყოფნის ჩანერგვა კარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და არის“.

ამ ამოცანის სრულყოფილად გადაწყვეტას უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებასა და საქმიანობაში. ადამიანთა აღზრდა კომუნისტური მორალით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, შრომისა და სახალხო დოვლათისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სოციალისტური დისციპლინისა და საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკეთებით: შეურიგებელი ბრძოლა მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების, იმ ნაციონალისტური გამოვლინებების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ ზოგჯერ გვხვდება, მომხვეჭელობის, დრომოჭმული მავნე ზნეგა, ბოროტებების, რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ — აი კომპლექსი იმ პრინციპული ღონისძიებებისა, როშელთა წარმატებით განხორციელებას უპირველესი უურადღება დაეთმო ჩვენს რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის ცნობილი დადგენილების განსახორციელებლად.

ამ დიდი პრობლემის გადასაჭრელად თანამიმდევრულმა, შეუპოვარმა, სწორად გააზრებულმა შრომამ პირველი შეფასება მიიღო სკკპ XXV ყრილობაზე.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: „ლვოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციის, თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ დადგენილებებში ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციათა უურადღება მიიპყრო ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. დღეს შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ აქედან სწორი დასკვნებია გამოტანილი. პარტიულმა ორგანიზაციებმა მეურომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობა უფრო ინიციატივიანად და ფართოდ წარმართეს“.

ამ დიდ საშვილიშვილო შრომახა და ბრძოლაში რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას მხარში ამოუდგნენ შემოქმედებითი კავშირები — მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები და თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს შინაარსით სოციალისტური, სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური და ფორმით ეროვნული ნაწარმოებებით. ამ ნაწარმოებებში პარტიული პოზიციებიდან ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვეობის საზოგადოებრივი მოვლენები, ისინი ქებათა-ქებას ასხამენ ხალხთა ლენინურ მეგობრობას, საბჭოთა ინტერნაციონალიზმს, შრომით წარმატებების ჰეროიკას და პათოსს, მშრომელი ადამიანების აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციებსა და მაღალ ზნეობრივ თვისებებს.

ეს ყველაფერი თავის დადებითს გავლენას ახდენს ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო წარმატებებზე — დიადი ხუთწლედის ამოცანების პირნათლად შესრულებაზე.

სწორედ ასეთმა დარაზმულობამ, საერთო-სახალხო საქმის სიყვარულმა დამკვრელურ ბანტზე დაიყენა სამრეწველო საწარმოთა მუშაკები. მივაცეთ სამშობლოს 170 მილიონი მანეთის ზეგეგმიური პროდუქცია — ასეთია წელს მათი პატრიოტული გადაწყვეტილება. ამ შემართებულ შრომაში მზესავრ ანთია ხალხთა ლენინური მეგობრობის დიადი დროშა. „მეგობრობის ნადნობი“ — კუბისმეტ რუსთაველიდან, ლენინორანდან, ძმათა ხელით ნაწრთობი მადანი მოდის მადნეულიდან, მეგობრობით ჩადუღაბებული კაშხლის ხაძირკველი გზას მტკიცედ უკიტავს ბობოქარ ენგურს, ხალხთა ძმობა, მეგობრობა აშრობს კოლხეთის ჭაობს და მაცოცხლებელ წყალს აწვდის ალაზანის ველის ნოყიერ მიწას, მეგობრობის დიად ძალას გამოაქვს მთებიდან მანგანუმი და ამოაქვს მიწიდან ქარხული ნავთი.

სწორედ ამ დარაზმულობამ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტურმა სულისკვეთებამ, ხალხთა ლენინური მეგობრობის ძალამ აღაფრთოვანა, დარაზმა საქართველოს მეჩაიეები იმისათვის, რომ მიეღწიათ მეათე ხუთწლედის უმაღლესი მაჩვენებლისათვის და დაემსახურებინათ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მადლობა.

ახე შრომობენ მემინდვრეებიც, მევენახეებიც, ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკები. მათი უპირველესი შთაგონებაა ხალხთა ლენინური მეგობრობა.

აბა ნახეთ და ესაუბრეთ გორის რაიონის ფლავის კოლმეურნეობის წევრებს, რა სიამაყით მოგითხრობენ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „ბორეცის“ მშრომელთა ძმობაზე, ურთიერთდახმარებაზე, ტრადიციულ შეჯიბრებაზე... მათი მეგობრობა ხალახი შრომით, ძმობით არის შედუღაბებული.

სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში ჩაეყარა საფუძველი მახარაძის რაიონსა და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის მშრომელთა ძმობასა და მეგობრობას. მახარაძელი დედები ვით ლვიძლ შვილები, ისე უვლიდნენ, ჭრილობებს უშუშებდნენ უკრაინელ მეომრებს, გმირ ვაჟკაცებს... ამ მეგობრობამ შემდგომში ფესვები უფრო ღრმად გაიდგა, გაიფურჩქნა.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

ხალხთა ლენინური მეგობრობის დიადი ძალა აწრთობს ჩვენს ადამიანებს ახალ-ახალი წარმატებებისათვის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ კეთილი დასაწყისია, დასაბამია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც მომავლშია გათვალისწინებული და რომელიც კიდევ უფრო აამაღლებს, უფრო მტკიცედ დარაზმავს ადამიანებს ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა ინტერნაციონალიზმის დიადი ლენინური დროშით.

ხვალ თბილისში მუშაობას დაიწყებს სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განსორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით“.

ეს უდიდესი მნიშვნელობის იდეურ-პოლიტიკური ღონისძიებაა, თავისი მასშტაბით, თემის აქტუალობით და წარმომადგენლობით.

კომუნისტებისა და ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტა, საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი გრძნობებით ახალი ადამიანის აღზრდისათვის ყველა იდეოლოგიური დაწესებულების, პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი ძალებისა და საშუალებების უფრო მოფიქრებული კოორდინაცია, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, მისი ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცება, აქტიური ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, გადამჭრელი ღონისძიებანი ეკრძმაკაუთრული ტენდენციებისა და ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის სხვა გადმონაშთების აღმოსაფხვრელად და სხვა მრავალი აქტუალური პრობლემები განიხილება, გაშუქდება, გაანალიზდება სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე.

ჭეშმარიტად ნათელი პერსპექტივებია გადაშლილი კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის წინაშე მეათე ხუთწლედში. მათი დიდი და შემოქმედებითი შრომის შედეგების ნაყოფია ულღეები მეგობრობა, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი.

ბაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას! — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული კოლიტიკის დიდ მონაკოპვარს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 18 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იუმჟაგინ ცედენბალი მეთაურობს. სურათზე: შეხვედრა აეროდრომზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 18 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იუმჟაგინ ცედენბალი მეთაურობს.

ოფიციალური, მეგობრული ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 18 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის იუმჟაგინ ცედენბალის მეთაურობით.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ენუკოვის აეროდრომზე თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგ ი. ცედენბალს, დელეგაციის წევრებს გულთბილად და გულითადად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირები.

საფრენ მოედანზე ჩამოწკრივებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულის უფროსმა უპატიჟა ამხანაგ ი. ცედენბალს. შესრულდა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა ჩამოუარეს საბჭოთა შეიარაღების მწყობრს.

ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ბატმუნეხი მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით კრემლსაკენ გაემართნენ. აეროპორტში, დიდებულების ქუჩებში და მოედნებზე, რომლებიც მორთული იყო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით, მონგოლურ და რუსულ ენებზე, ათასობით მოსკოველი გულთბილად მიესალმებოდა საბჭოთა და მონგოლ ხელმძღვანელებს. (საკდესი).

გულითად, ძმურ ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 18 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ვ. სნეგოვი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ი. პელშე, ძ. ა. სუსლოვი, ფ. ო. უსტინოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაბანოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. თ. კატუშევი, მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე სტუმარ წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ცედენბალ!

პატივცემულო ამხანაგებო, მეგობრებო!

მოსკოველი ხალხი ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა გულთბილად და გულითადად მასპინძლობს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, მოძმე მონგოლეთის ნაციონალ ხელმძღვანელი თანამიმდევრული ინტერნაციონალისტი ამხანაგი ცედენბალი მეთაურობს, ჩვენს მონლოლ მეგობრებს-სულითა და გულით ვეუბნებით — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მივესალმები მონგოლეთის საპატიო დელეგაციას და მადლობა გამოვუცხადოთ ტრაკტორიზენი, ძვირფასო ამხანაგებო, მისი შედეგები კიდევ უფრო ფართო პორიზონტების გადაგვიშლის. საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის თანამშრომლობაში, ახალ გზებს გაუკვალავს ჩვენი ურთიერთობის ყოველმხრივ განვითარებას და უზრუნველყოფს საბჭოთა და მონგოლი ხალხების შემდგომ დაახლოებას.

ბევრი ცელილება — და დიდი ცვლილება — მოხდა მას შემდეგ, რაც ოშვა პროლეტარული სოციალისტური რუსეთის საბრძოლო კავშირი თავისუფალ მონგოლეთთან. მაგრამ რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, მისთვის უცვლელი იყო და რჩება ერთი ნიშანი. ეს არის ერთმანეთისადმი უდიდესი ნდობა. მისი სათავეები უკავშირდება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ისტორიულ შეხვედრას მონგოლეთის რევოლუციურ დელეგაციასთან, სუხე-ბატორთან. ეს ნდობა ჩვენი პარტიების ინტერნაციონალისტური პოლიტიკის, ერთმანეთის საზრუნვისა და ინტერესებისადმი ჩვენი ამხანაგური ყურადღების პირდაპირი შედეგია. საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის მეგობრობის მთელი ისტორიის მანძილზე, მონგოლეთი კი საბჭოეთის ყველაზე ძველი მეგობარია, ჩვენი ურთიერთობა მუდამ ნამდვილად გულთბილი, გულწრფელი, ძმური იყო. ამით სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ.

ჩვენ ყველანი, ეთანხმებით იმას, რომ ჩვენი პარტიებისა, და ქვეყნების მჭიდრო ურთიერთმოქმედების განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი დადა საბჭოთა კავშირის ასტრონავტების ფრენა. საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ერთობლივ ფრენა. ეს ფრენა ჩვენ ერთად ავუფრინეთ ერთმანეთს, ერთ ფრენად ავუფრინეთ ჩვენ

გულითად, ძმურ ვითარებაში

(დასასრული)

ეიული თანამშრომლობის განვითარების ეხება. მოლაპარაკების მთავარი მიზანია ერთად დაესახოთ და განსაზღვროთ ჩვენი ურთიერთობის გაღრმავების ფორმები და მეთოდები, რათა ისინი უფრო სრულად შეესაბამებოდეს იმ სპეციალურ სოციალისტურ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ამოცანებს, რომლებსაც ჩვენ ვისახავთ.

სასიამოვნოა ნოვინიშნოს, რომ განვლილი ხუთწლეული ყველაზე წარმატებული იყო მოძმე მონგოლეთის მთელი ისტორიის მანძილზე: ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური მატება უფრიდა წინა ათ წელიწადში მიღებულ მატებას. ყოველივე ეს მუშათა კლასის, ინტელიგენტიური მუშაობის განვითარებული ოსტატობის, არჯტების თავადადებული შრომის და რა თქმა უნდა, მონგოლ კომუნისტთა დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგია. ეფექტურობ. საერთო აზრს გამოთქვამ, თუ ვიტყვი, რომ სასარგებლო როლი შეასრულა ბერეთვ ჩვენს სამნინისტროებსა და ურ ულებს შორის უშუალო ურთიერთობის დამყარებამ. არა მარტო ხუთწლიანი, არამედ წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციამ, თვრამეტიან ათმაკის პარტიულ ორგანიზაციებსა და საბჭოთა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიულ ორგანიზაციებს შორის მტკიცე საქმიანი კონტაქტების დამყარებამ. ერთი სიტყვით, ყოველივე იმ ახალმა, რაც ჩვენი თანამშრომლობის ცოცხალ პრაქტიკაში იშვა. ეს გზა — და ეს ჩვენ საფუძვლიან ვითარებამ მონგოლ ამხანაგებს — ალბათ თანამიმდევრულად უნდა განახორციელოთ.

სახალხო მონგოლეთი, რომელიც თავის დროზე ფეოდალიზმიდან პირდაპირ სოციალიზმის ხანაში შეიჭრა, ახლა უფიდესი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის ზღვიანას ყურეტს. ამთავრებს რა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, იგი იღებს, რომ თავისი განვითარების დონე გაუთანაბრდეს სხვა სოციალისტური ქვეყნების დონეს. და ჩვენ ალბათ ერთად შეიარაღებთ ხალხ ჩვენს მონგოლ ძმებს მათი გეგმების განხორციელებაში.

ფელას გვახსოვს სამოციანი წლები, როდა დარხანი იქმნებოდა იმ დროისათვის ეს მეტად დიდი მშენებლობა იყო. ახლა კი ერდენეტის სპინლიმოლიბდენის გიგანტის მშენებლობის დროს მარტო ერთ წელიწადში იქმნენ სახსრის ოთხისეტნენ. რამდენსაც დარხანში ხუთი წლის განმავლობაში ითვისებდნენ. მარტო ეს ერთი ფაქტი სარკისავით ასახავს სპხალხო მონგოლეთის გაზრდილ აღმშენებლობითს შესაძლებლობებსაც, ჩვენი ერთობლივი სამეშაოების ახალ გეგმებსაც და. ორსეპთად, საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის თანამშრომლობის თვისებრივად ახალ დონესაც.

ამჟამად მონგოლეთში საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების აქტიური მონაწილეობით ათობით, ასობით ობიექტი შენდება ინდუსტრიულ და აგრარულ სექტორებში, ფარფლად მიმდინარეობს ნინამი მშენებლობა. იქმნება კულტურისა და ადამიანთა ცხოვრების ახალი ეტაპი. საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ეკონომიური თანამშრომლობის მოცულობა ფაბლოს წლებში გაორკეცდება. ეს საესებით ბუნებრივია, რომ მოლაპარაკების ბოლო ეტაპზე ერთ-ერთ ადგილი ეთმობა ეს ორმხრივ საფუძველზე თუ სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის ფარგლებში — ისეთია, რომ ფლენადგ ეხება ეზრუნველეთ მთელი სახსრებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, ეიბრძოდეთ მაქსიმალურად შეფყობილი მოქმედებისათვის.

და მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ სრული გაგებით ვეკიდებით ლენინელებს. რომელნიც მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია ახორციელებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური მშენებლობის მოწინავე გამოცდილების დაუფლებისათვის. ეს ხალხს მატერიალური ჭეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისაც, ყოველივე დასახულის განხორციელების ერთადერთი უტყუარი გზაა.

ჩვენს მოლაპარაკებაში შეიტანებით საკითხებისაც. საერთაშორისო ეკონომიკა ეკვალებადია. დღეს ასეთია, ხვალ—რამდენადმე სხვაგვარი. მაგრამ ჩვენი საერთო აზრით, მთავარ ტენდენციად დაძაბულობის შენელის ტენდენცია რჩება. ეკი შეი ასბამება ხალხთა სანუკვარ მისწრაფებებს, და ამ ძალებს, რომლებიც განზე უდგანან მას ან მით უმეტეს ეცდილობენ მის წინააღმდეგ იმოქმედონ, მომავალი ვერ ეკნებათ. პოლიტიკური ცხოვრება საკმაოდ გარკვეულად ადასტურებს ამას.

რაც შეგვეხება ჩვენ, მტკიცედ ვიღაწვით, რომ განახორციელოთ XXV ყრილობაზე წამოყენებული მშვიდობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა ყველა მის ასპექტში. გვინდა ვისარგებლოთ ფლენადგილი შეხვედრით და ღრმულად შეგიფასოთ წლილი, რომელიც მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკას მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის იდეალებისათვის სოციალისტური ქვეყნების საერთო ბრძოლაში შეაქეს.

მონგოლეთი ჩვენი მოკავშირეა. იგი სოციალისტური სახელმწიფოების დიდი ოჯახის წევრია და მისი მდგომარეობა, მისი უშიშროება მტკიცეა. ჩვენ ფფლება გვაქვს ღიანიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ხელშეკრულება, რომელსაც 1966 წლს მოეწერეთ ხელი, კარგად ემსახურება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებს. საერთოდ მთელი მსოფლიოს ინტერესებს.

გასაგები მიზეზების გამო განსაკუთრებული ყურადღება დაეთმეთ აზიის პრობლემებს, მათ შორის ყველაზე რთულ პრობლემებს. შეიძლება თუ არა მათი გადაწყვეტა? დარწმუნებული ვართ, რომ შეიძლება. საჭიროა მხოლოდ მოთმინებით, თანდათანობით ეიშენოთ ჩვენი ურთიერთობა კეთილმეზობლობის პრინციპებზე. საქმით ეცეთ პატივი სხვა სახელმწიფოების თანასწორუფლებიანობასა და სუვერენიტეტს, წინ ეიყოროთ, კონსტრუქციული ხასიათი მიეანიჭოთ დიუნოლას, ყოველ ქვეყანას, რომელიც ასეთ თვალსაზრისს ადგას, შეეძლოს ჩვენი ურთიერთმეგობრის სროული იმედი ჰქონდეს. ასეთი თვალსაზრისი შეესამება აზიის ყველა სახელმწიფოს ინტერესებს. მთელი მსოფლიოს ნშვიდობის ინტერესებს.

ძვირფასო მონგოლო ამხანაგებო! ზეგ თქვენ შეიფგებით ბოგდოხორობის ჩვენს ქვეყანაში. ჩახვალთ ფუზბეთში, ნოვოსიბირსკში, ვეფხვარა, რომ შეძლებთ ნახოთ, თუ რა ალმაცერთნი, როგორი ინერგიული მუშაობენ საბჭოთა ადამიანები მეითე ხუთწლეულის ამოცანების შესასრულებლად, რაოდენ სიმტკიცეს იჩენენ ჩვენი პარტიელი და სპეციალისტები, რომ განახორციელონ ყოველივე, რაც ყრილობამ დასახა. და, რა თქმა უნდა, თქვენ შეძლებთ უშუალოდ გაინაცადოთ საბჭოთა ადამიანების მხურვალე ძმური გრძნობები მონგოლი ძმებისადმი.

ეს გრძნობებით მინდა შემოგთავაზოთ საღღეგრძელო:

გაუმარჯოს ჩვენს მეგობარსა და მოკავშირეს — მონგოლ ხალხს!

გაუმარჯოს მონგოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას, რომელიც გზას უკვალავს სოციალიზმისა ახალ გამარჯვებებს მონგოლეთის მიწა-წყალზე!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ურღვევ მეგობრობას, ჩვენს სოციალისტურ თანამეგობრობას!

ღღეგრძელობას ვუსურვებ ამხანაგებს ცედენბალს, ბატმუნეს და ყველა ჩვენს მონგოლ მეგობარს!

ეიდღეგრძელეთ, ამხანაგებო!

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ი. ცედენბალმა.

ამხანაგ ი. ცედენბალის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ლ. ი. ბრეჟნევ!
ძვირფასო ამხანაგო ნ. ვ. პოდგორნი!
ძვირფასო ამხანაგო ა. ნ. კოსიგინ!
ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

დიდ საბჭოეთში ჩამოვედით მეგობრობისა და ძმობის გულწრფელი გრძნობებით, რომლებითაც მონგოლი ხალხი გამსჭვალულია საბჭოეთი ლენინური პარტიისადმი, თავისი უცვლელი მეგობრის — გმირი საბჭოთა ხალხისადმი.

ჩვენ ღიადად გვახარებს და აღგვაფრთოვანებს ამის შეგრძნება, რომ თვითეული შეხვედრა თქვენთან, ძვირფასო ამხანაგებო, ყოველივის უაღრესად ღიდმნიშვნელოვანი მოგვანიჭა ხოლმე ჩვენი მოძმე პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთობის ისტორიაში. ამასთან საბჭოთა კავშირში ყოველი ჩამოსვლა საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ ახლოს გავეცნოთ კომუნისტურ მშენებლობაში, ოქტომბრიობის ნათელი იდეალების ხორცშესხმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხს ახალ მიღწევებსა და მდიდარ გამოცდილებას.

ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ღიელვაციის სახელით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ მეგობრული ვიზიტით საბჭოთა კავშირში მოწვევისათვის, მხურვალე მიღებისა და გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩვენ გვაგვიწიეთ.

სოციალისტური მონგოლეთის კომუნისტები და მშრომელები კარგად იცნობენ და ძმურად, მხურვალედ მიესალმებიან თავისი მნიშვნელობით დიდებულ წარმატებებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, მიცნეურებისა და ტექნიკის განვითარებაში, მატერიალური კეთილდღეობისშემოგომი გაუმჯობესების საქმეში, რომლებსაც ამჟამი საბჭოთა ხალხი საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით აღწევს. საბჭოთა ხალხის გრანდიოზული მიღწევები, საბჭოთა კავშირის განუხრელად მზარდი ეკონომიური ძალიერება ამრავლებს მსოფლიო სოციალიზმის ძალასა და ძლიერებას. ეს არის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტწილად უწყობს ხელს მსოფლიოში მიმდინარე ღრმა პოზიტიურ გარდაქმნებს.

სსრ კავშირში კომუნისტური შენებლობის გაჩაღებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის თვისებრივად ახალი ეტაპი დასახა სკკპ XXV ყრილობამ ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებს უაღრესად ღიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის, მშვიდობისა და ბუნებრივი ინტერესებისათვის.

ჩვენთვის ტრადიციულ გულახდილ და საქმიან ვითარებაში დავიწყეთ დღეს მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება. ჩვენ განვიხილავთ ღიდმნიშვნელოვან, პრინციპულ საკითხებს, რომლებიც ჩვენს ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას, ჩვენი შემდგომი თანამშრომლობის მიმართულებებსა და მოცულობის განსაზღვრას, აგრეთვე საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს უკავშირდება.

ჩვენი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, მისი სულ უფრო მზარდი ინტერნაციონალისტური დახმარება ჩვენთვის იყო და არის მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის წინსვლის მძლავრი ფაქტორი.

ჩვენ ღიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ახალ ხუთწლეულში საბჭოთა კავშირის ეკონომიური დახმარება, რომელსაც იგი მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების საქმეში გეწევის, წინა ხუთწლეულთან შედარებით ერთიერად და მეტად გაიზრდება.

ნება მიბოძეთ მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი ქვეყნის მთავრობისა და ხალხის სახელით გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ CKK ცენტრალური კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური განვითარების პრობლემების ღრმა გაგებისათვის, მუდმივი ძმური ზრუნვისა და ცხოვრების ყველა დარგში ყოველმხრივი ინტერნაციონალისტური დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ახლა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების განვითარების ობიექტური კანონზომიერება გახდა მათი სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების დაახლოება, ამ ქვეყნების განვითარება მომავალში ერთიანი მსოფლიო კომუნისტური მეურნეობის შექმნის მიმართულებით, რომლის რეგულირებს საერთო გეგმით განხორციელდება. ამ პირობებში საბჭოთა კავშირთან მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი ყოველნაირი კონსოლიდაციისა და დაახლოების საკითხი პოლიტიკური, ეკონომიური, იდეოლოგიური, კულტურული, საშინაო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების შემდგომი დაჩქარების საკისარი მოთხოვნილება ხდება. ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამით, რომ დაახლოებამ უნდა მოიცვას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ყველა ფაზა — წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა ორმხრივ არის დაინტერესებული ამით, რომ დაახლოების პროცესი განვითარდეს ადიდებული სიჩქარით — მატერიალური წარმოების ფარგლში წარმოების კოოპერირების ორგანიზაციის, ეროვნებიანი საწარმოო ობიექტების შექმნისა და გამოვლების გზით და სხვ.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ჩვენი ქვეყნის მჭიდრო, სულ უფრო მზარდი თანამშრომლობა როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე ეკონომიური ურთიერთობის ინტერნაციონალიზმის საბჭოს ფარგლებში მონგოლეთში სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმოებისთვის მშენებლობის ინტერნაციონალური ფაქტორია. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა მჭიდროდ თანამშრომლობს მომავე სოციალისტურ ქვეყნებთან არა მარტო ეკონომიური ინტეგრაციის ეფექტიანობისა ამოცანების გადაწყვეტაში, არამედ სამეცნიერო-პოლიტიკური საქმიანობის დარგშიც.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დაუცხრომელი, ინიციატიანი ღონისძიებების შედეგად მოპოვებულია დიდი წარმატებები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. ამაში ეფიდეს კონსტრუქციული როლს ასრულებენ საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კომუნიზმისათვის, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. რომლის თვალდადებულ ნაყოფიერ მოღვაწეობას მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საკეთილდღეოდ დამსახურებულია. სეგმენ პატივს ეა ალიარებს მთელ. მსოფლიოში.

დაძაბულობის შენელების სულ უფრო ღრმა პროცესი პოზიტიურ გავლენას ახდენს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონის პოლიტიკურ ეიფერებაზე. მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების პერსპექტიები ისახება აზიის კონტინენტზეც. აზიაში ამჟამად შექმნილი პოლიტიკური ვითარება მთელი ძალით უსვამს ხაზს, თუ რაოდენ საჭიროა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა კონტინენტში აზიის სახელმწიფოთა სოლიდარული, კოლექტიური მეცადინეობით. ჩვენ მხარს ეუჭერთ ამას, რომ აზია გადაიქცეს მშვიდობისა და თანამშრომლობის კონტინენტად აზიის ხალხთა ნდობის, ურთიერთგაგებისა და ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის განმტკიცების საფუძველზე.

სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის ძალების წარმატებების საფუძველი მუდამ იყო და არის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მტკიცე ერთობა, მათი თანამიმდევრული და შეთანხმებული მოქმედება, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება.

ალალიც დუნეცხრომლად განვახორციელებთ ღონისძიებებს, რათა განვამტკიცოთ სოციალისტური ქვეყნების ერთობა, განვავითარეთ და გავაღრმაოთ მათი ინტერნაციონალური ურთიერთ და ყოველმხრივი თანამშრომლობა.

ძვირფასო ამხანაგებო! გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი შეხვედრები და მოლაპარაკება ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება მონგოლი და საბჭოთა ხალხების, ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების გზაზე. მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა მარად იცოცხლებს ჩვენი მშრომელების საქმეებსა და ფიქრებში, გაიზრდება და განმტკიცდება როგორც მონგოლი ხალხის ბედნიერებისა და ყეფაების საიმედო საწინდარი და დაუშრეტელი წყარო.

ნება მიბოძეთ ალდეგრძელი:

სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, თანმიმდევრული მარქსისტ-ლენინელი, ჩვენი ძვირფასი მეგობარი, ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი!

საბჭოთა კავშირის მთავრობა, ამხანაგები ნიკოლოზ ვიტალიის-ძე პოდგორნი, ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელები;

გაუმარჯოს მონგოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმურ მეგობრობას, მშვიდობას და სოციალიზმის საქმეს!

* * *

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ცედენბალის სიტყვები დამსწრეებმა ღიდი ყურადღებით მოისმინეს და ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

საღამოს გულითადი, ძმურ ვითარებაში ჩაბარა. (საკვლევ).

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეოთხე პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეოთხე პლენუმი, რომელიც მიეძღვნა მშრომელთა ყოფილ დღეფიანს. ეს ეს ისეთი, ეს ეს ეს

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

სიყვარულს უშვენებია

ოდითგანვე დრმა ისტორიული ფესვები აქვს გადგმული ამიერკავკასიის მომე ხალხთა მეგობრობას. იგი ახალი ძალით განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. როცა ადამიანების ურთიერთობა ლენინური ეროვნული პოლიტიკის იდეებით გასხივოსნდა.

ამ წერილებში მოთხრობილია ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მშრომელთა ტრადიციულ მეგობრობაზე.

საქართველო—აზერბაიჯანი

მეგობრობის ფოლადი

რუსთავი-სუმგაითი. საქართველოს და აზერბაიჯანის ეს ინდუსტრიული ცენტრები თავიანთი სიმბოლოა ორი რესპუბლიკის ხალხთა ძმობისა და მეგობრობისა. თუ ადრე მხოლოდ მეტალურგები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ახლა შეჯიბრების ფერხულში ჩამბმულა ორი ინდუსტრიული ქალაქის თითქმის ყველა საწარმო, ყველა დაწესებულება.

წლეულს ივლისში რუსთაველმა და სუმგაითელმა მეტალურგებმა დიდი შრომითი იუბილეობით აღნიშნეს თავიანთი ტრადიციული დღესასწაული — მეტალურგის დღე.

რუსთავში სპეციალურად ჩამოვიდა სუმგაითის ფ. ი. ლენინის სახელობის მილსადენავი ქარხნის წარმომადგენელი **ზ. ჯუსეინოვი** და ჩამოიტანა აზერბაიჯანელი კოლეგების საზეიმო მოლოცვა. უყურადღებოდ არც რუსთაველებს დაუტოვებიათ სუმგაითელი მეგობრები. ტელეფონით გულწრფელი სურვილები გადასცეს მათ და მომდგომი წარმატებები უსურვეს.

როგორც რუსთაველი, ისე სუმგაითელი მეტალურგები წლეულს განსაკუთრებული ენერგიით შრომობენ, სამშობლოს საკეთილდღეოდ ღნება რუსთავისა და სუმგაითის მარკის ზეგეგმითი ფოლადი, მზადდება მილები, სხვა მეტალურგიული პროდუქცია.

სუმგაითელმა მეტალურგებმა ქართველ მეგობრებს აცნობეს, რომ ცხრა თვის დავალება პროდუქციის რეალიზაციის მიხედვით შესრულებული აქვთ 102 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა — 103 პროცენტით. მოწინავეთა შორის არის ფარმან ჯაფაროვი.

ამ გვარის ხსენებამ რუსთაველ მეტალურგებში განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია. **ფ. ჯაფაროვი უკანასკნელად რუსთავში შარშან იყო. მაშინ აზერბაიჯანელმა და ქართველმა მეფოლადეებმა ერთად გამოადნეს ფოლადი და მას „მეგობრობის ნადნობი“ უწოდეს.**

ამას წინათ მას წერილი მიწერა მეტალურგმა **იური გურგენიძემ,** შეატყობინა, რომ ვალდებულების გადამეტებით კიდევ 175 ტონა ფოლადს გამოადნობს და ღუმელს გამძლეობას აიყვანს.

ფ. ჯაფაროვმა მაშინვე უპასუხა თავის ქართველ მეგობარს: — **ამჯერად აქ გამოვადნოთ მეგობრობის ფოლადი,** — და სთხოვდა **ი. გურგენიძეს** სუმგაითში ჩასვლას.

ეს დღეც დადგა. ძმურად მიიღეს რუსთაველი მეტალურგი მასპინძლებმა, და „მეგობრულ ნადნობს“ კიდევ ერთი ჩქარობსნული ნადნობი შეემატა.

და განა მარტო გურგენიძე და ჯაფაროვი? ურთიერთშორის მეგობრობენ რუსთაველი და სუმგაითელი მეტალურგები ოთარ ლომაძე და ვ. აბაზოვი, ვლადიმერ მეტრეველი და ა. ხულეიმანოვი, ბიბეიკო ჩემბა და კ. დადაშევი.

წლეულს მარტენის საამქროში მეტად საინტერესო ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი. ახალგაზრდა მეფოლადემ ომარ წითლიძემ გამოიჩინა თაოსნობა — არცერთი ჩამორჩენილი, არცერთი დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით! ამ ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა პპოვა მთელ რესპუბლიკაში. ქართველი კოლეგების ეს ინიციატივა ცნობილი გახდა აზერბაიჯანელებისათვისაც. მალე რუსთაველში მოვიდა წერილი, რომლის ავტორები — სუმგაითელი მეტალურგები იტყობინებიან, რომ მოსწონთ ქართველი მეგობრების თაოსნობა და მზად არიან ფართოდ გამოეხმაურონ მას.

რუსთაველში შეჯამეს ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები — გეგმის ზევით გამოდნობილია 16 ათას ტონაზე მეტი ფოლადი. შედეგები შეჯამეს სუმგაითშიც. აქ კი 18 ათასი ტონა პროდუქცია ზეგეგმითია. როგორც მეგობრები აცხადებენ, ეს მათი მოკრძალებული საჩუქარია მეათე ხუთწლედის პირველი წლისათვის.

— მაგრამ მიღწეულით არ დაკმაყოფილდებითო,— აცხადებენ ქართველი და აზერბაიჯანელი რვალის ოსტატები და მეგობრობის განსამტკიცებლად შრომითს ვახტზე დგანან.



საქართველო—სომხეთი

დაცმარების ხელი

ეს ამ რამდენიმე ხნის წინათ მოხდა. რუსთავის ქიმიური კომბინატის ამოაკის საამქროში უეცრად გაუთავდათ მეტად საჭირო ძვირფასი ხსნარი. თუ მას სასწრაფოდ ვერ იშოვნიდნენ, შეფერხდებოდა ამოაკის წარმოება; სერიო უარყოფით დაღს დაამჩნევდა წარმოების საერთო მაჩვენებლებს

— რა ვქნათ? — დაისვა კომბინატში კითხვა.

— იქნებ ჩვენს სომეხ კოლეგებს აქვთ, — თქვა ვიღაცამ.

მაშინვე ტელეფონით დარეკეს. კაცის ჩამოსვლაც **არ არის საჭირო, ჩვენ თვითონ გამოგიგზავნით, იყო პასუხი. მეორე დღეს საჭირო ნივთიერება ადგილზე იყო.**

რუსთავისა და კიროვაკანის ქიმიური კომბინატების კოლექტივების ურყევ მეგობრობას საფუძველი ჯერ კიდევ 1964 წელს ჩაეყარა. მას შემდეგ მათ შორის მჭიდრო ურთიერთობაა. საჭირო ხსნარი რომ გამოგზავნეს, სომეხმა კოლეგებმა მას კატალიზატორი და ხსნარის გასაწმენდი ნივთიერებებიც მოაყოლეს. სამაგიეროდ, რუსთაველებმაც მეგობრობის ხელი გაუწოდეს, გაუგზავნეს კომპრესორის დეფიციტური ნაწილები.

ამას წინათ ქიმიური კომბინატის დელეგაცია კიროვაკანში იმყოფებოდა. ქართველი ქიმიკოსები სომეხმა კოლეგებმა გულთბილად მიიღეს. ჩავიდნენ თუ არა, მიეწყო მეგობრობის საღამო, რომელზეც ბევრი ითქვა ქართველი და სომეხი ხალხების ძმობაზე, მათ ისტორიულ ურთიერთკავშირზე.

მასპინძლებმა ვააცნეს თავიანთი შრომითი წარმატებები, ტექნიკური სიახლენი. სტუმრებმაც უამბეს, რომ ამ ბოლო წლებში მკვეთრად ზრდიან მინერალური სასუქებისა და კაპროლაქტამის წარმოებას, აუმჯობესებენ სხვა ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს.

— ჩვენ გაგვიხარდა, რომ კიროვაკანის ქიმიურ კომბინატში საკმაოდ ბევრი ქართველი მუშაობს და ენერგიული და შემოქმედებითი შრომით წინ სწევს მეგობართა საერთო საქმეს, — უთხრა სომეხ კოლეგებს რუსთავის ქიმიური კომბინატის პარტკომის მდივანმა ლ. ჩარკეანმა.

...ქიმიურ კომბინატში მოსული კაცის უურადღებას აუცილებლად მიიპყრობს მოწინავეთა ხაკმაოდ კარგად გაფორმებული დაფა. ამ დაფაზე მოთავსებულია სურათები იმ ქართველი და სომეხი ქიმიკოსებისა, რომლებიც ყველაზე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ურთიერთშორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. აი ისინი: ზეინწყალთა ბრიგადირი ა. სეხნიაშვილი და ელექტროკოთა ბრიგადირი ბ. მნაცაკანიანი, ხარატი დ. ოტიაშვილი და შემდეგები ბ. შახვერდიანი, მეაპარატე რ. ჯამბასიშვილი და ცვლის უფროსი ვ. სახლიანი...

ახლა დიდი სამზადისია რუსთაველ ქიმიურ კომბინატში. ელოდებიან სომეხ სტუმრებს. მათი ეს ვიზიტი მიეძღვნება მიმდინარე წლის ცხრა თვის საწარმოო გეგმების შესრულებას, ზგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებას, ახალი სოციალისტური ვალდებულებების აღებას.

როგორ ხვდებიან ქართველი ქიმიკოსები სომეხი მეგობრების ჩამოსვლას?

უდავოდ ხელდამშვენებულნი. აქ ამ უკანასკნელ ხანს გადამეტებით აწარმოებენ როგორც მინერალურ სასუქებს, ისე კაპროლაქტამს. ამ მხრივ ვალში არც სომეხი მეგობრები რჩებიან.

მტკიცე მეგობრობის, ურთიერთდახმარების, სიყვარულის ახალი ისტორია იწერება ამიერკავკასიის ბევრისმომსწრე მიწაზე, და ამ სიყვარულით და მეგობრობით შენდება ახალი ნათელი მომავალი — კომუნიზმი!

ზ. მერკვილაძე.

* * *

სურათებზე: ზემოთ, მარცხნივ — ადნობენ რუსთავის ფოლადს; **მარჯვნივ** — ასეთი მილები კეთდება სუმგაითში; **ქვემოთ, მარცხნივ** — რუსთავის ქიმიური კომბინატის ერთი კუთხე; **მარჯვნივ** — კიროვაკანის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის გადახვევის განყოფილება.

ვლ. გინზბურგის („კომუნისტი“) და საქინფორმის ფოტოკორესპონდენტის ფოტო.



ფრიდონ ხალვაში

ამხანაგი

მთაში, სადაც არ ჩავლილან
არც საყალბე, არც ღალატი,
მაშინ, პირველ გაგონილი,
წითელ ხმივით აკონილი
მტევანივით ჩაიწურეს გულში სიტყვა-ამხანაგი.

შრომით კაცის ამაღლება
არა კვდება, ამაგდება.
სიტყვა გულთა სიახლოვის
ვთალეთ დროის ქანდაკებად.
უმაღლესი, უმართლესი წოდებაა ამხანაგი.

ეს კვირტობა, ეს მწიფობა,
ეს მშვიდობა, ამხანაგო,
არ იქნება არ განაგო.
არა მხოლოდ მამაცობა, —
ინახავდა ქართველს ძმობა.

ჩვენი რევოლუციების მობრიალე წინწკალიდან
გამამწიერებელი, გამამთანასწორებელი,
გამაერთიანებელი
ზეიპრა „ამხანაგი“,
აიპრა და წინ წავიდა,
ჯერ დუღილში რომ ვიყავით,
იმ ხანიდან ამ ხანამდე,
ვის არ ეამაყება, რომ თვით ელადიმერ ილიას-ძეს
დაუძახოს ამხანაგი.

მკლავმოღლილი ამხანაგი
ამ მიწაზე რომ გაივლის,
იცის ბატონ-პატრონია
დროისა და სინამდვილის.

ფაცხიდან რომ წამოვედი
ბიჭი ნაცვეთ ქალამნებით,
მწამდა მერმხის ამ სიცოცხლეს
სტრიქონივით გავაელებდი.

რადგან ყოველ გზისაყარზე
ამხანაგი მედგა მხარით.
უმაღლესი, უმართლესი წოდებაა — ამხანაგი.
იგი — ცეცხლში გაჭედილი არ გახდება
დასაფანგი.

მოკრძალების ხიდიადე
ნდობა-რწმენას ბეჭდად აძევს,
ის მამათა სისხლმა მოგვცა
გუთნისა და წიგნის კაცებს,
ამხანაგო დედამიწავ,
შენ, სამშობლოვ, ამხანაგო,
ვმღერი, ვლოცავ, ვლაპარაკობ:
გთხოვ ჩვენი ეპოქისამ
ბედი შენი კვლავ განაგოს.

საქართველოვ, დედავ ჩემო,
უწმინდესო სამართალო,
ვერაფერმა შეგაჩერეს,
ვერაფერმა დაგამთავრეს,
გაჩენილო სამაღედო,
ამხანაგო საქართველოვ.
ბოროტი თუ გაღამებდა —
სიყვარულმა გაგათენებს.

ზვიადი ოდიშელიძე

ჩვენს დიად სამშობლოში

პრძველსკი. (ყირგიზეთის სსრ). ცხვრის პირველი ფარები მიიღო დღეს ინტენსიურ სუქებაზე მაღალი მთის ტბის ისიგ-ყულის სანანირზე მდებარე საბჭოთა მეურნეობა „ულახოლის“ მეცხვარეობის კომპლექსმა. ეს სამეურნეობათშორისო მეცხვარეობის გაერთიანების მეთაური საწარმო შეიქმნა კოოპერაციის საწყისებზე. ახალი „„ხორცის ფაბრიკა“ აწარმოებს ათიათას ცენტნერ იაფ ცხვრის ხორცს და ხუთას ცენტნერზე მეტ ნაწ მატყლს წელიწადში. საწარმოში მოქმედებს მძლავრი საკვებსამზადი საამქროები, ვეტერინარიული, სამკურნალო, პროფილაქტორიუმი მოზარდეულის მისაღებად. კომპლექსის მახლობლად შეიქმნა სამასი ჰექტარი ხარწყავი სამოვრები.

ბლაგოვეშჩენსკი. (ამურის ოლქი). პირველი მგზავრები მიიღო დღეს ახალმა აეროვაგზალმა, რომელიც ტაიგის ახალგაზრდა დაბა ბერეგოვოში აშენდა. მის მცხოვრებთ მყარი საპაერო კავშირი ექნებათ „დიდ მიწასთან“. ბერეგოვოი ერთ-ერთი დასახლებული პუნქტია, რომელიც უკანასკნელ ხანს შეიქმნა ჩრდილოეთ იმიერამურის პირთეთი — ზონაში, რომელიც ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ტრასას ემიჯნება. ასეთი დაბების განაშენიანების პროექტებით გათვალისწინებულია მცხოვრებელთისათვის შეიქმნას მაქსიმალური მოხერხებული პირობები, მათ შორის რეგულარული ავიახაზები საოლქო და რაიონულ ცენტრებთან. უახლოეს ხანში საპაერო ტრასები მიგვა ახალ დაბებში — გორნიში, ხვოინში, სნეგნეგორსკში, სადაც იქმნება მსხვილი ხე-ტყის დასამზადებელი საწარმოები.

ესილის (ყაზახეთის სსრ) რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კრასივინსკში“ 3000 ტონაზე მეტ მარცვალს ამუშავებს დღე-ღამეში ახალი მარცვალსაწმენდი კომპლექსი. მისი სიმძლავრე ოთხჯერ აღემატება „ზავ-40“ ტიპის საკარხნო მექანიზებული კალოს მწარმოებლობას. ეს სიახლე ადგილობრივმა რაციონალიზატორებმა დააპროექტეს და დანერგეს მეურნეობის მთავარი ინჟინრის ვ. პ. ნელეპოვის ხელმძღვანელობით.

ახალ მარცვალსაწმენდ გიგანტში შედის ორი 200 და 100 — ტონიანი ჩამჩაელვეატორი, რომლებშიც ელევატორის მსგავსად წინასწარ იწმინდება მარცვალი. ოთხი ვენტილიატორი სწრაფად ისრუტავს ყველა მინარევს. ასუფთავებული და გამშრალი პური გროვდება 75-ტონიან ბუნკერებში, საიდანაც ავტომატურად გადადის ავტომანქანების ძარებში. დანადგარს ორი კაცი ემსახურება. (საკდესი).

ბეიოუზდენიდან გზას თითქმის სამ საათს მოვუსდით. სამი საათი მოვანდომეთ სულ რაღაც 40 კილომეტრის გავლას — ახლა წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ის გზა. რამდენიმე დღე გაწდაუღებლად წვიმდა, ყველაკერი აიღლვიბა და ჩვენი ავტომობილი შორიდან აღმათ ლაფში მოიუსფუსი კუს წააგავდა, შოთა კაკუშაძე ღელავდა: „ეს, ისე თუ ვიზოზინეთო, ზეიმი უჩქენოდ დაიწყება და გათავდება კიდეც“. ვაჟა სორდია მდუმარედ ატრიალებდა საპეს და მთელი თავისი გამომეტყველებით თითქოს ამბობდა, „მე რა გიყოთ, მეტი აღარ შემიძლიაო“.

მას მთელი ღამე არ უძინია, უომინდობის გამო ეერტმფრინავები არ ფრინავდნენ, ნიაში ბური გათავდა და საჭირო გახდა ამ ლაფსა და ტალახში გაეგზავნათ. მანქანა უსტ-კუტში. ალიოზნე დაბრუნდა, ის-ის იყო ჩაეძინა და მთელი ფილეგაცია ეწვია: „შოთა, ვალერა რუხაია, ანზორ ლილუაშვილი და სლავა ზალიმშუკი. „ვაჟა, გვიშველე. ზვიოზდნიში უნდა წავიდეთ, დღეს ხომ შეხვედრაა...“

ვაჟაც, აბა ძმობილებს როგორ გაიწბილებდა, სიტყვაც არ უთქვამს, ისე წავიდა მანქანის მოსამზადებლად. უტყუარი ბიჭია ვაჟა. როცა ყველაზე ძნელი საქმეა გასაკეთებელი, მას ანდობენ. აი ახლაც, შეეძლო არ წამოსულიყო. რა მოხდა ისეთი, ვერე რაა, რომ შეხვედრაა. მაგრამ მან იცოდა, რა ძვირფასია ეს დღე ბიჭებისათვის.

შოთაც, ვალერიც, ანზორიცა და სლავაც საკავშირო ალკა მე-17 ყრილობის სახელობის რაზმის წევრები არიან. ისინი პირველნი ჩავიდნენ ბამის მშენებლობაზე 1974 წლის მაისში. ეს ინტერნაციონალური რაზმი ეროვნის ყველა რესპუბლიკისა და ოლქის წარმომადგენლებისაგან ჩამოყალიბდა. თანდათან მისი სამასი მონაწილე ლენქსაქსა მთელ ტრასაზე, მაგრამ წელიწადში ერთხელ აუცილებლად ხვდებიან ერთმანეთს ზვიოზდნიში, იქ, სადაც დაიწყო მათი ბამური კილომეტრები...

ზვიოზდნიში მაშინ ჩავედით, როცა მზე უკვე კარგა მაღლა წამოსდგომოდა გორაკებს. ცამ ღრუბლები გადაიყარა, აცხუნებდა და ტაიგას მსუბუქი, მოცისფერი ნისლი მოსდებოდა. ერთ გორაკზე ორასამდე კაცს მოეყარა თავი. ისმოდა მუსიკის ხმა, მაყალებზე მწვადი შიშხინებდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგი მღეროდა, ზეიმი უკვე გაჩაღებულიყო. ჩვენ რომ დაგვინახეს, ისეთი ღრიალეული ატყდა, იქაურობა შესძრა.

— საქართველოს ფიზკულტ-სალამი! — იყვირა იგორ კუდრიავცევმა და ვალერის გადეხვია. იგორი ჩრდილოეთ ოსეთის ჯგუფის კომისარია: იმ პირველ ზაფხულს ისინი ერთ კარავში ცხოვრობდნენ ერთად: კუდრიავცევიც და რუხაიას ბრიგადები. დამრიგებლად კი ვიქტორ ლაკომოვი პყვდათ, გამოცდილი მშენებელი, რომელმაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება ძიძელ ხრებტოვ-უსტ-ილიმის ბაზის მშენებლობაზე. მთელი მისი ბრიგადა, სრული შემადგენლობით ჩამოვიდა ბამზე. ლაკომოველებისაგან ქართველი და ოსი ჰაბუკები სწავლობდნენ არა მარტო ხელების მოკრას და ნაკაფის გაყვანას, სწავლობდნენ სიძნელეთა დაძლევას, სწავლობდნენ მეგობრულ მხარდაჭერას, ურომლისოდაც ბამზე, არ იფიქრო, ერთ დღესაც გაძლო. კუდრიავცევი სიხარულს ვერ ფარავდა, ამაყად განაცხადა: „ამ კვარტალში ლაკომოვი დავამარცხეთო!“

ვალერის გულღიად ჩაეცინა. კანკალს ვერ იოკებდა, გაცღებული იყო და მაინც წამოვიდა. „შენ რა, ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა იგორმა. — აბა წადი ალი მოიტეთ ჩქარა! რუხაიას უნდა ვუწამლოთ!“ — და აი ვიღაცამ უკვე მოარბენინა „წამლით“ სავსე ჭიქა. მეჭიდროდ გარს გვერტყმოდნენ გოგონები და ბიჭები და ყველას უნდოდა ჭიქა ჭიქაზე მოეჯახუნებინა ჩვენთვის.

— ქართველების სადღეგრძელო იყოს! — ჭიქა ასწია ლაკომოვმა, — ვიცოდი, რომ აუცილებლად ჩამოხვიდოდით!

შემდეგ დავლიეთ ახლადდაქორწინებულების ნინო ტორტიფეასა და სლავა გოროდნიჩუკის, ლინა ფიოდოროვასა და ჟორა გაიბაევის სადღეგრძელოები. ლინაცა და ჟორაც საკავშირო ალკა მე-17 ყრილობის სახელობის რაზმის ქართული ჯგუფის შემადგენლობაში ჩამოვიდნენ ბამზე. ჟორამ ჯერ რუხაიას ბრიგადაში მუშაობდა, შემდეგ კი როცა ზამთარი დადგა, თავის პროფესიის მიხედვით მანქანაზე გადაჯდა მძღოლად. ზვიოზდნიში გორელმა ჰაბუკმა ახალგაზრდა ციმბირელი მასწავლებელი ქალი ვალინო. ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინდნენ.

ქორწილი მან ქართული ტრადიციების ყველა წესის მიხედვით გადაიხადა. თამადა ომარ ჯალიაშვილი იყო, ბრიგადის დანარჩენი წევრები — „ხელის მომკიდენი“...

ჩვენ ბევრსა ვწერთ ბამზე, ვსაუბრობთ მისი მშენებლების შრომითს გმირობაზე, მათს ყოველდღიურ საქმიანობაზე. მაკრამ არის ბამზე კიდევ ერთი თავისებურება, ისევე როგორც, ყველა სხვა ჩვენს დამკვიდრებულ ეროვნულ მშენებლობებზე. აქ ახალგაზრდები თვალთათვლივ რწმუნდებიან იმ ურთიერთობათა მრავალსახეობაში, რომელიც ქვეყნის ყველგან დარგის ეკონომიკას ეორიენტებს ერთიან ცხოველმყოფელ სისტემად. აქ ისინი მთელი სიცხადით შეიგრძნობენ ხოლმე საბჭოთა ხალხების ძმობის ძალას, რაც ყველაზე ნათლად ვლინდება მათს შრომითს საქმეებში. და რაც მთავარია, გრძნობენ ამას ყოველდღიურად.

ბამზე ინტერნაციონალური აღზრდის თავისებურება ვლინდება იმითაც, რომ ტერიტორიული რაზმები ჩარჩაკეტილ ცხოვრებას როდი ეწევიან, ძალიან სწრაფად ეთვისებიან ერთმანეთს.

ფიზიკაში არის ასეთი ცნება — „დიფუზია“. სხვადასხვა ლითონის ორ ფირფიტას თუ მჭიდროდ მიეკარვთ ერთმანეთს, რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ელვა ზეით დაეშორებთ. მსგავსი პროცესი, ოღონდ უკვე ადამიანთა შორის, შეინიშნება ბამზეც. უფროსიერს ყოველნა, ეს თვალში გეცემა იქ. სადაც თავს იყრის ორი ან რამდენიმე ეროვნული რაზმი.

ავიღოთ თუნდაც იგივე რუხაიას ბრიგადა. მისი შემადგენლობა ჩამოსვლის დღიდან, ესე, იგი 1974 წლის მაისიდან (მაშინ იგი მთლიანად ქართული იყო) ზუსტად სანანირეროდ შეიცვალა. ის, ვინც არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდა, ბიჭებმა თვითონ გააძევეს კოლექტივიდან, ხოლო ვინ მიიღეს მათ მაგივრ? სლავა ზალიმშუკი ლვოველია, იგი ახლა ბრიგადის კომორგია, ვალოდია ხნირიოვი ტაშკენტელია, სერგეი მედინცევი — ნოვოსიბირსკელი. კიდევ სამი ქართველია ბრიგადაში, მაგრამ ისინი მხოლოდ იმიტომ კი არ მიუღიათ, რომ ქართველები არიან, არამედ საქმით დაიმსახურეს ეს. და ისე შეეთვისენ ერთმანეთს, გაოცდები.

სწორედ ზემოთხსენებული „დიფუზია“ მოხდა: გულმა გული იგრძნო და ბრიგადა ერთგულ მექანიზმივით მუშაობს. ესეც კიდევ ერთი თავისებურებაა კოლექტივების ინტერნაციონალურობისა — ისინი უფრო ხაყოფიერი, საზოგადოებრივად უფრო აქტიური არიან.

მე უკვე რამდენჯერმე მომიხდია ნიაში ყოფნა. და ყოველთვის ვამჩნევდი მის გარეგან მკვეთო ცვლილებებს. ტყრების დასახლებიდან ნია გადაიქცა დიდ, კეთილმოწყობილ დაბად. მაგრამ ვამჩნევდი სხვა რამესაც: „საქმაშშენში“ გაჩნდა ბევრი ციმბირელი, უკრაინელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი და ყველანი ორგანულად შედუღაბდნენ ერთ კოლექტივად.

სოციოლოგიებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ინტერნაციონალური მეგობრობის პრობლემებით, ბამი ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს ფიქრისთვის და დასკვნების გამოსატანად. ბამზე შინაარსობრივად გამდიდრდა საერთოდ რუსეფბლიკელთა შორის ტრადიციული შეჯიბრებაც. იგი აქ გრძელდება ახალი ნიშნით, როგორიც არის მაგისტრალის მშენებელთა მეტოქეობა.

მჭიდრო მეგობრობა აკავშირებთ საქართველოსა და სომხეთის წარგზავნილებს. განსაკუთრებით გამოვლინდა იგი საშინელი ტაიგური ხანძრის დროს, რომელმაც ქინაღამ არ მოსპო ნია. მთელი თვე მაპანაქება სიცხე იდგა, 35 გრადუსი ნულს ზემოთ. და არც ერთხელ არ წამოუწვიმია. ტაიგაში ცეცხლი გაჩნდა ნიასგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, მაგრამ ნიამდა იგი დაბისაკენ წამოიღო. ადამიანები გაურკვეველმა გუგუნმა გამოაღვიძა, თითქოს და შორს ტანკების კოლონა მოძრაობსო: გუგუნი სწრაფად ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა, თანდათან ხანგრძლივ იხრიდებოდა და დაბა მაინ ჩაიძირა სქელ, ყომრალ ქვაში. ცხრაკი ბრიგადამ წრიული თავდაცვის პოზიცია დაიკავა, მზად იყვნენ დახვედროდნენ ცეცხლგამტალებას, მაგრამ, რასაკვირველია, [illegible] გადებოდნენ; დგალიანებმა [illegible] უბედურებებს [illegible] შემდეგ დასანმენდ[illegible] [illegible] დაეფარა ყველა.

საქმე კი ასე იყო. ალექსანდრე ბატაიანა, „სომხეთბამმშენის“ მთავარი ინჟინერი, შემთხვევით აღმოაჩინა რადიოკავშირში, როცა აქ დგალიანებმა მოაწყვდინა ხმა. როგორც კი გაიგონა, ქართველთა დესანტს საბელისწერო საფრთხე იმუქრებოდა, ბატაიანი თვეისანებისკენ გაქანდა, თბილისიდან მოხსნა ის ორი ბრიგადა, დაბაში რომ მუშაობდა და ვერტფრთმისაკენ გეზი შეარა მათთან ერთად. იქ ის-ის იყო ცლიდნენ მი-8-ს. მფრინავებს აუხსნეს, რაშიც იყო საქმე, ჩასხდნენ ვერტმფრენში და ნიაში გაფრინდნენ. და მთელი ექვსი დღე ბატაიანი თვეისი ხვლთით ყველას მხარდამხარ იბრძოდა გამძვინვარებულ სტიქიას.

მრისხანეა ტაიგური ხანძარი, მაგრამ ძალა ადმიანის ხნავს. უსტ-კუტიდან მოსულმა ამფეთქებლებმა ამონიტის საშუალებით შექმნეს ნეიტრალური ზონა, ცეცხლსაც გზა დაეხშო და ჩაქრა. დაბა გადარჩა. განცდილს დღესაც მოგვაგონებს დანახშირებული ტყე ვერტმფრინავების მოედანთან. და დარჩა კიდევ ის დიდი მეგობრობა, რომელმაც უფრო დააახლოვა საქართველოსა და სომხეთის რაზმები.

თუმცა, ალბათ რომ თქვას, ისინი ადრეც ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. სომხეთის რაზმი ბამზე თვეახევერით გვიან ჩავიდა. მაგრამ ჯერ კიდევ ზამთარში, როცა ყალიბდებოდა საქართველოს რაზმი, თბილისში რამდენჯერმე ჩამოვიდა ჰენრიხ არუსტამიანი — „სომხეთბამმშენის“ უფროსი, იგი დაწვრილებით ეცნობოდა ყველაფერს, რათა შემდეგ, რომ იტყვიან, „ველოსიპედი არ გამოეგონებინა“: ამოცანა ხომ ერთნაირად გადასაწყვეტი იყო. სომხეთმა შეუფიცა ალიო სადგურ ტაიურას მშენებლობაზე, ხოლო „სომხეთბამმშენი“ ზვიოზდნიშია დისლოცირებული.

და ახლა ნიადან უსტ-კუტში მიმავალი მძღოლები უომინდობის დროს ყოველთვის სომხეთის რაზმში ჩერდებიან ხოლმე. აქ მათ მუდამ ელოდებიან ცხელი ყურძი და თბილი ლოგინი.

ერთი შემთხვევაც დამამახსოვრდა. ნიაში კლუბის გახსნისათვის ემზადებოდნენ. უსტ-კუტიდან ორი მანქანა მოდიოდა მოწყობილობით დატვირთული. და აი რა მოხდა: ტაიურაზე ხიდი დაიტეხა, ლიანდაგს აგებდნენ. მაშინ ედიე გრიგორიანის ახალგაზრდულ-კომკავშირულმა ბრიგადამ ერთ ღამეში მოაწყო მდინარეზე დროებითი გადასასვლელი, რათა მანქანები მარჯვენა ნაპირზე გადასულიყვნენ. განა ამის დავიწყება შეიძლება?!

„სომხეთბამმშენმა“ და „საქბამმშენმა“ ერთმანეთს შორის შეჯიბრების ხელშეკრულება დადეს, ორივე სპეციალურმა სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელმა პირნათლად შეასრულა პირველი რიგის ამოცანა: ყინვების დადგომამდე ვადაიყვანეს ადამიანები კარვებიდან თბილ შენობებში; წლიური გეგმა ერთმანეთ და მორეკილ ვადამდე გაანაღეს.

ჩვენ ხშირად სათანადოდ ვერ ვიფასებთ ზოგიერთ რამეს, რაც ჩვენ ახლრეს, დიდად გასაოცარია. და იცით რატომ? — იმიტომ, რომ ისინი ძალიან ჩვეულებრივ, მე ვიტყოდი, ყოველდღიურ ფუცერ[illegible]

დიდი ოჯახი

ინტერნაციონალური აღზრდის სკოლა

ლობად იქცნენ. მართლაც, საბჭოთა ხალხების მეგობრობა, ძმობა — ჩვენს ცხოვრებაში, ყოველდღიურ ყოფაში ისე მტკიცედ, ისე ძირფესვიანად დამკვიდრდა, რომ ვერც წარმოგვიდგენია სხვანაირი ურთიერთობა ადამიანთა შორის.

ადამიანთა თავისუფალი შრომა, აი რა უდევს საფუძვლად ინტერნაციონალიზმს, რომელიც მათ ეხმარება მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა დაგროვებაში. ყოველ საქმეში, ყოველ მშენებლობაზე — დიდიც იგი თუ პატარა — დიგის თვითეული ჩვენგანის ნაწილი — რუსის, ქართველისა, ლატვიელისა, ებრაელისა, თათრისა, უკრაინელისა...

ჩვენ ხშირად ვამბობთ, „შრომაში ისევე, როგორც ბრძოლაში“ და ამაში ვგულისხმობთ თავდადებას, მამაცობას, შემართებას, გმირობას ვამოვლენის უნარს — ესე იგი ყველაფერს იმას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია გამარჯვება შრომაშიც. ყველა ეს თვისება ვლინდებოდა და კვლავაც ვლინდება ბამზე სრული ძალით.

ომში მარტო იერიშები კი არ იყო, იყო უმთავრესად მიმართა მეგობრობა, ძმობა, სისხლით შეფიცულებული თავდადება ერთმანეთისთვის, რაც ფენომენ მაგალითი ეიქით, როცა რუსს ბრძოლის ველიდან გამოუყვანია დაჭრილი სომეხი თანამებრძოლი, თანაც ეს ბრძოლა აუფასებია უკრაინელისათვის ნასროლ ტყვიისთვის, ბელორუსს ხანმოკლე შეიბულების დროს შინ წაუყვანია ქართველი მეგობარი, ამაზე წიგნები დაწერილი, სიმღერები, ლექსები შეთხზულა. ასევე კი შეიძლება შრომაც, თუ გვერდით მომმე არ გიდგას, და ეფიქრობ, ის ხუთი ქართველი, კუნერმაზე რომ მეგობრობს, საკვლამოდ დაეშვიგრძრდა ტოლია კუხარუსა და მისი ბრიგადის ბიჭებს.

თეიმურაზ ალმაკაძე, ამირან ამბროსიაძე, რუსლან ბურმანოვი, ჯოყოლა ბალალაშვილი და ნუგზარ ნადირაძე ბამზე „საქბამმშენის“ შემადგენლობაში არ ჩამოსულან, ორამდე ნახევარი წლის შემდეგ მოვიდნენ კომკავშირული საგზურებით. ნიაში მათ ეთხრეს, დიდი სიამოვნებით მიგიღეთო, მაგრამ ადგილი აღარა გვაქვსო. ასე აღმოჩდნენ ისინი კუნერმაზე. ეს დაბა ზეიდ ბაიკალის ქედთან მდებარეობს, იგი ყველაზე უკიდურესი დასავლეთ უბანზე, ნამდვილი სვანეთია — ირგვლივ მთიბის ყინულოვანი ვრცელი კიდეები და ზედ ქედის ძირას, ტბის პირას მიყუჟული სახლები.

როცა ხუთი ქართველი კუნერმაში ჩავიდა, მისი მშენებლობა ის-ის იყო იწყებოდა. ბუნებრივია, ერთად ყოფნა ერჩიათ და მოითხოვეს კიდევ ერთ ბრიგადაში ჩაერიცხათ. არადერი საწინააღმდეგო არ ჰქონდა მთავარ ინჟინერ ვალენტინ კოვალენკოს. ბიჭებს ობიექტი მისცეს, ისინიც ერთგულად შეუბნენ საქმეს, მაგრამ მაინ მიხვდნენ, რომ არადერი გამოსცდიოდათ. არც ერთმა ბრ იცოდა მუშის ხელობა, არც ერთს არ ჰქონდ

სტუმრად მოსკოვში

ქართულ ოპერას მოუსმენს დედაქალაქი

საბჭოთა კავშირის დედაქალაქში გამოსვლა დიდად საპატიო, სასიხარულო და ამასთანავე პასუხსაგებია ყოველი ხელოვანისათვის, ყოველი თეატრალური კოლექტივისათვის. ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის, ჩვენი კულტურის წარმომადგენლები მოთავალგზის შეხვედრიან მოსკოველ მაყურებელს და ყოველთვის გარემოსილნი ყოფილან მათი გულითადობითა და მეგობრული სითბოთი.

სულ ბოლო პერიოდიდან ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თბილისის რუსთაველის თეატრის გასტროლები, ჩვენი ახალგაზრდა მხატვრების წარმატება საკავშირო გამოფენაზე („ქვეყნის სიტყვაუკე"), საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ დ. თორაძის ახალი ნაწარმოების შესრულება. ამ დღეებში აქ აუდერდება კომპოზიტორ გ. ყანჩელის სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი მე-4 სიმფონია, აგრეთვე გიმბართება ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილი საღამო. დღეს კი, 19 ოქტომბერს, მოსკოვში გასტროლებს იწყებს **თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**, რომლის დირექტორს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ **ირ. გერიძეს** გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა:

საქართველოს საოპერო თეატრი, — თქვა ი. მერიძემ, — რამდენიმე დღეს მოსკოველთა სტუმარი იქნება. სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრმა თავისი შენობა დაგვითმო, სადაც მაყურებელი ჩვენს სპექტაკლებს ნახავს.

პრესა უკვე იუწყებოდა, რომ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელა" წარდგენილია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. წელიწადნახევარია, რაც ოპერა დაიდგა. პრემიერა შარშან იანვარში ვაჩვენეთ და მას შემდეგ, ამ მოკლე დროში სპექტაკლმა უკვე საკმაო აღიარება მოიპოვა. საბჭოთა მუსიკათმცოდნეობამ მას მაღალი შეფასება მისცა. კომპოზიტორებმა ტ. ხრენიკოვმა, ა. ხაჩატურიანმა, დ. კაბალევსკიმ ერთსმად აღიარეს ოპერის მღერადი ბუნება, საინტერესო მუსიკალური დრამატურგია. ასევითვე აზრი გამოთქვეს მის შესახებ უცხოელმა კომპოზიტორებმა და მუსიკოსებმა.

მოსკოვში „ლელას" მოისმენს (19 ოქტომბერს) საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისია. თეატრი საგანგებოდ მოემზადა და ვფიქრობთ მუსიკისმოყვარულთა წინაშე წარმატებით წარვსდგეთ.

კიდევ ერთხელ უნდა დავასახელო სპექტაკლის შემქმნელი შემოქმედებითი ჯგუფი: თეატრის მთავარი დირიჟორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. აზმაიფარაშვილი, თეატრის მთავარი რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჟორდანია, მხატვარი გ. გუნია, მთავარი პარტიების შემსრულებლები: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები მ. ამირანაშვილი და ი. შუშანია, მოძღვარალი ჯ. მდივანი.

მოსკოველებს ვუჩვენებთ პ. მასკანის ოპერა „სოფლის პატრიოტებს" (20 ოქტომბერს), რომელიც დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ჯ. ანჯაფარიძემ. სპექტაკლი, რომელსაც უდირიჟორებს გ. აზმაიფარაშვილი, მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ასკურავამ.

ამავე საღამოს მოსკოველები ნახავენ აგრეთვე ჩვენი თეატრის საბალეტო სპექტაკლს, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა ბალეტმეისტერმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ალექსიძემ. „ქორეოგრაფიული ფანტაზია" შეიქმნა ბახისა და შოპენის, ქართული კომპოზიტორების ო. თაქთაქიშვილისა და ს. ცინცაძის მუსიკაზე.

ჩვენი მესამე სპექტაკლია ვაგნერის ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელი" (21 ოქტომბერს). იგი დადგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის მხარის წარმომადგენელმა ჰ. ვედეკინდმა. ასეთია ჩვენი რეპერტუარი ამ ხანმოკლე საგასტროლო მოგზაურობისათვის. ჩვენ შევეცადეთ მოსკოველთათვის შეგვემზადებინა ჩვენი თეატრის ბოლო წლების საუკეთესო ნამუშევრები: მოსკოვში ხუთი წლის წინათ ვიყავით და ამჟამინდელი გამოსვლა თავისებური შემოქმედებითი ანგარიში იქნება. წლევანდელმა წელმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის წელმა, თეატრალური ხელოვნების წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დასახა, რომლებიც ჩვენთვის, საქართველოს საოპერო თეატრისათვის, საშოდვაწეო ორიენტირად იქცა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი ქვეყნის თავკარ მუსიკალურ კერას, დიდ თეატრს ორასი წელი შეუსრულდა, მაშინ ცხადი გახდება, რომ თეატრის ეს საპატიოლები ჩვენთვის სერიოზული შემოქმედებითი გამოცდა და მნიშვნელოვანი მოვლენაა.

მზედართმთავრის ზსოვნის უკვდავება

16 ოქტომბერს თბილისის № 6 პროფესიულ-ტექნიკური სახწავლებლის ტერიტორიაზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სახელმოხვეჭილი საბჭოთა მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის მარშალის თ. ი. ტოლბუხინის ძეგლი.

ძეგლის გახსნის ცერემონიას დესწრნენ საქართველოს დედაქალაქის ლენინის რაიონის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები.

სურათებზე: თ. ი. ტოლბუხინის ძეგლი. ქვემოთ — საზეიმო ცერემონიალი ძეგლის გახსნის დროს.

ს. თევზაძის ფოტო (საკადრის ფოტოქრონიკა).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ რესპუბლიკაში საგრძნობლად აგრილდა. ბახმარიში, ბაკურიანში, გოდერძის უღელტეხილზე თოვლი მოვიდა, ტემპერატურამაც საგრძნობლად დაიწია.

გუშინ, 13 საათზე ყველგან უნალექო ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 16 გრადუსი გაგრაში აღინიშნა, დაბარეულ დაბლობ რაიონებში 14-15, მთებში 6-11 გრადუსი აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 11-15, მთებში 4-6 ვრადუსი იყო.

გუშინ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 15 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ძლიერი ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 15-20, მთებში 8-13 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა და ელჭეკი, იქროლებს აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 7-12, მთებში ნული-5 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია მცირე წვიმა, ნისლი, ტემპერატურა 13-16 გრადუსი სითბო.

ბ. დ. ჟღენტის დამკრძალავი კომისია

თვალსაჩინო ქართველი საბჭოთა მწერლისა და კრიტიკოსის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის ბ. დ. ჟღენტის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. გ. ალაშიძე (თავმჯდომარე), ი. ბ. ალაშიძე, ა. დ. ალექსიძე, ვ. ი. ანჯაფარიძე, ზ. გ. ახვლედიანი, ი. გ. ბარამიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, ბ. თ. ლობჟანიძე, გ. ნ. ჯიბლაძე.

ბ. დ. ჟღენტის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ბ. დ. ᲩᲚᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

საამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 19 და 20 ოქტომბერს 19 საათზე გასვენებელის ბინაში (ფურცელაძის ქუჩა, 12). 21 ოქტომბერს საამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება საქართველოს მწერალთა კავშირის სახლში 15 საათზე.

გამოსვენება 21 ოქტომბერს 17 საათზე საქართველოს მწერალთა კავშირის სახლიდან.

დაკრძალვა — დიდუბის პანთეონში.

ᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ

მეათე და მეთერთმეტე ტური

მეათე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია გაფრინდაშვილ-ლევიტინას პარტიამ. ეს გასაგებიც იყო — მსოფლიოს ჩემპიონი ხვდებოდა პრეტენდენტთა წინა ასპარეზობის ფინალისტს და ამავე შეჯიბრების მომავალი მატჩების მონაწილეს.

გათამაშდა სიცილიური პარტიის ერთ-ერთი ვარიანტი. გაფრინდაშვილმა შეწირა ფიგურა, მაგრამ ლევიტინამ აირჩია თეორიით რეკომენდებული დაცვითი გეგმა, და დაფაზე მწვავე, მაგრამ დაახლოებით თანაბარი პოზიცია წარმოიქმნა. მალე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ალექსანდრიამ ჩინებულად წარმართა იერიში და სძლია საუნინას. იოსელიანი კარგ პოზიციაში შეცდა და დანებდა ახმარუმოვას. სემიონოვამ მოუგო კახაბრიშვილს. ფომინა, რომელმაც შეჯიბრება ძალიან ცუდად დაიწყო, ახლა თანდათანობით ასწორებს სატურნირო მდგომარეობას — დაამარცხა ქიევეკა.

გადადებული პარტიების დამთავრებამ სიცხადე შეიტანა სატურნირო ცხრილში. ორ პარტიას ამთავრებდა. ალ. ალიევი — ბელავენეცი. ალ. ალიევმა ადვილად ააცილა ბელავენეცს ფიფქია. ალ. ალიევ-ბელავენეცის ბრძოლა ბოლო ადგილისთვის ალ. ალიევ-ბელავენეცმა ბოლოს ბოლოს ბელავენეცს. ამ ორმა დამარცხებამ სემიონოვას სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესა. მას ახშარუმოვას გარდა ზაიცევმაც გაუსწრო, რომელმაც დიდი ბრძოლის შემდეგ გამოიყენა თავისი პოზიციური უპირატესობა და სძლია ბელავენეცს.

გადადებული პარტიების დასარჩენი შედეგები ასეთია: ჩიბურდანიძემ მოუგო გურიელს, ფომინამ — ზატულოვსკაიას, ქიევეკამ — მულენკოს, ყაიმზე შეთანხმდნენ კისლოვა — მულენკო, ეპშტეინი — ზატულოვსკაია, ზაიცევა—ეპშტეინი და მულენკო — კახაბრიშვილი.

გუშინ მეთერთმეტე ტურში ზაიცევამ მოუგო ალექსანდრიას, ლევიტინამ — ბელავენეცს, მულენკომ—ფომინას, იოსელიანი — გურიელი და საუნინა — ახმარუმოვა ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადადიდ.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

მეგოზარი მეცოქე

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲘᲡ პოპულარული კლუბი მტკ („მადიარ ტესტლაკორლოკი კირე — უნგრელ ფიზკულტურელთა საზოგადოება") 1975-76 წლების სეზონს ვერ დაემდურება: ქვეყნის ჩემპიონატში, სადაც 16 გუნდი მონაწილეობდა, მან მეექვსე ადგილი დაიკავა „ფერენცვაროშის", „ვიდეოტონის", „ფოჟას", „ჰონვედისა" და „ვაშაშის" შემდეგ. ყველა ეს გუნდი, „ვიდეოტონის" გარდა, ბუდაპეშტიდან არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნგრული ფეხბურთის ძირითადი ძალები სწორედ ბუდაპეშტში არიან და პერიფერიული კლუბები მათ ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევენ. მტკ-მ მოიგო 13 მატჩი, 3 ფრედ დაამთავრა და 14 წააგო, ბურთების დადებითი შეფარდებით 53:41.

მტკ-სათვის უდავოდ დიდი წარმატება იყო უხგრეთის თასის ფინალში გასვლა. აქ იგი შეხვდა ბუდაპეშტის პოპულარულ „ფერენცვაროშს", რომელიც ახლა ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება არა მარტო უნგრეთში, არამედ ევროპაშიც. ფინალური მატჩი უაღრესად მძაფრი ბრძოლის შემდეგ მოიგო „ფერენცვაროშმა" (1:0), მაგრამ რადგანაც ეს კლუბი უნგრეთის ჩემპიონიც გახდა და ამდენად ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე გამოსვლის უფლება მოიპოვა, თასების მფლობელთა თასზე თამაშის უფლება მტკ-ს დაუთმო.

დავიწყოთ თასების მფლობელთა თასით. აქ პირველ წრეში (1/16 ფინალი) ბუდაპეშტელების მოწინააღმდეგე იყო ჩეხოსლოვაკიის მრავალჯზის ჩემპიონი „სპარტა". პირველი შეხვედრა ბუდაპეშტის სტადიონ მტკ-ზე გაიმართა. როგორც გაზეთ „ჩეხოსლოვენსკი სპორტის" სპეციალურმა-კორესპონდენტმა ფრანტიშეკ ჩერნოხმა აღნიშნა, მასპინძლები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ და ანგარიში 3:1 რვალურად მაინც არ ასახავდა მათ უპირატესობას. ბურთები გაიტანეს თავდამსხმელებმა კუნსტმან, კიშმა და ნახევარმცველმა კოვაჩმა. „ანგარიში უფრო დიდი უნდა ყოფილიყო" — ასე დასასთარა მან თავისი მიმოხილვა. ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტების აზრით, მეორე მატჩში შეიძლებოდა მდგომარეობის ხსნა. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. პრაღაში მტკ-მ კარგად ითამაშა, ფრეს მიაღწია (1:1) და ამრიგად მერვედფინალში თამაშის უფლება მიიღო.

ამ ორ მატჩში თავი გამოიჩინა უნგრელთა ტანმაღალმა ფეხბურთელმა შიკლოშმან, რომელიც თანაბარი წარმატებით თამაშობს სტოპერადაც და ნახევარმცველადაც.

რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, აქ მტკ-ს მწვრთნელი მიჰაი კეხკეჰი სეროიზული პრობლემების წინაშე დადგა. გაზეთი „ნეპშპორტი" ყოველი მატჩის შემდეგ აქვეყნებს ხოლმე მოკლე ინტერვიუს მწვრთნელებთან. კეხკეჰი ხშირად უჩივის მცველების თვითდაჯერებულობას, თავდამსხმელების ნაკლებ შედეგიანობას და ა. შ. კეხკეჰი აღნიშნავს, რომ მტკ-ს ფეხბურთელები ლამაზად, კარგად თამაშობენ მინდვრის ცენტრში, მაგრამ კართან ვერ იყენებენ საუკეთესო შესაძლებლობებს. გუნდმა ვერ მიაღწია თამაშის იმ დონეს, წინა ჩემპიონატში რომ ჰქონდა და სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში აღმოჩნდა.

წლეულს მატჩების უმეტესობაში კარს იცავდა ჰორნიაკი. მწვრთნელი კეხკეჰი ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲐ მისი თამაშით: ეს თუნდაც იმით გამოიხატება, რომ იგი ჰორნიაკს სისტემატურად უწერდა „ოთხიანს" (10-ბალიანი სისტემით, ეს ხომ დაბალი ნიშანია). უნგრული გაზეთები ყოველი მატჩის შემდეგ აქვეყნებენ ნიშნებს, რაც ერთგვარ წარმოდგენას იძლევა ფეხბურთელთა თამაშის დონეზე. ბუდაპეშტის „ჰონვედთან" პასუხსაგები თამაშისას მწვრთნელმა შეცვალა ჰორნიაკი 21 წლის გაშპართი, რომელიც ადრე ეპიზოდურად მონაწილეობდა მატჩებში. ეს მატჩი მტკ-მ მოიგო 3:0.

დაცვაში თამაშობენ პაღიჩკო, ჩეტენი, ჩორნა და ნიირო. ზოგჯერ ცენტრალური მცველის ადგილს იკავებს შიკლოში, მარცხენა მცველად კი სიგეტი გამოდის, უდიდესი გამოცდილება აქვს გუნდის კაპიტანს, 33 წლის შაბა ჩეტენის. ეს მაღალი, ტექნიკური მცველი მალე საიუბილეო, 300-ე მატჩს ითამაშებს ეროვნულ ჩემპიონატში.

ნახევარდაცვაში დიდხანს თამაშობდნენ კოვაჩი-ბორშო-კოპალში. ახლა კეხკეჰეიმ აქ ერთგვარი გადაადგილებები მოახდინა, ხშირად გამოაყავს მინდორზე 21 წლის ბურგი. ნახევარდაცვისა (და შეიძლება ითქვას, გუნდისაც) უძლიერეს მოთამაშედ ითვლება 24 წლის ბელა კოვაჩი. იგი ბევრს აკეთებს მინდვრის შუაგულში, გადის წინ და სახიფათოდ ემუქრება მეტოქის კარებს. უნგრელი მიმომხილველი როჟა მის თამაშს დიდ შეფასებას აძლევს. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე აზრისაა მწვრთნელიც, რომელიც სისტემატურად უწერს მას „8"-ს.

თავდასხმაში ძირითადი სამეულია ტაკაჩი-კიმი-კუნსტი. მარჯვენა გარემარბი ტაკაჩი 29 წლის არის, კარგად ატარებს ბოლო შეხვედრებს. ცენტრალური თავდამსხმელი კიმი ტანმაღალია (180 სმ), ჯიქურ უტევს კარებს. მარცხენა გარემარბი კუნსტი ყოველი მდგომარეობიდან ურტყამს კარში, ყველაზე უფრო შედეგიანია მტკ-ს ფეხბურთელებს შორის. მწვრთნელს ზოგჯერ მინდორზე გამოჰყავს ფორკაში (არ აკურიოთ 60-იანი წლების განთქმულ ფოსკარდ იანოშ ფორკაშთან), რომელიც უნგრელ მიმომხილველთა აზრით, კარგ ტექნიკას ფლობს, მაგრამ ნელა მოქმედებს.

იმ წარუმატებლობის (ეტყობა, დროებითი ხასიათისა) მიუხედავად, რომელიც მტკ-ს ეროვნულ ჩემპიონატში აქვს, გუნდი მაინც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. იგი ზოგჯერ ბუდაპეშტის უდიდეს „ნეპშტადიონზე" თამაშობს (სტადიონი 90 ათას მაყურებელს იტევს), სადაც ამას წინათ დაამარცხა კიდევ არმიელთა კუნები „ჰონვედი" (3:0). ზუსტად ასეთივე ანგარიშით „ფერენცვაროშის" სასარგებლოდ დამთავრდა ამავე სტადიონზე მისი შეხვედრა „დოჟასთან", რომელიც მტკ-„ჰონვედის" შეხვედრის დამთავრებისთანავე დაიწყო. მიმომხილველთა აზრით, ეს იყო ჩინებული სპექტაკლი, სადაც უნგრეთის ოთხმა პოპულარულმა კლუბმა ჩინებულად ითამაშა.

გ. გამრეკელი.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

თბილისის „დინამოს" ხვალინდელმა მეტოქემ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ბუდაპეშტის მტკ-მ საკუთარ, „ჰემნგარიის" სტადიონზე, რომელიც 26 ათას მაყურებელს იტევს, უნგრეთის პირველობის მორიგ ტურში ანგარიშით 3:0 დაამარცხა „რაბა-ეტო".

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲘᲡ „ჰონვედმა", რომელიც უეფას თასზე უნდა შეხვდეს დონეცკის „შახტორს", ასევე საკუთარ მინდორზე სძლია ბუდაპეშტის „ვაშაშს" — 2:1.

საბჭრნმეთის ჩემპიონატის მეორე ტურში კიევის „დინამოს" მეტოქემ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში სალონიკის პაოკ-მა სძლია „პანაჩაიკს" — 2:0.

სამთა მატჩ-ტურნირი

ვარეზეში (იტალია) დაწყო სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირის მორიგი, მესამე წრე. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონები ტალი და პეტროსიანი. ეს პარტიაც, ისევე, როგორც მათი ორი წინანდელი შეხვედრა, ყაიმით დამთავრდა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობაზე

კვირას მოსკოვში „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის რკინიგზელთა და არმიელთა გუნდები. ერთადერთი ბურთი ცსკა-ს კარში ლოკომოტიველმა ეშტრეკოვმა გაიტანა.

კუბანიშვილს „კრილია სოვეტოვი" მასპინძლობდა მოსკოვის „სპარტაკს". მასპინძლებმა აქაც ერთი გოლი გაიტანეს (შელენკოვი).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„ა" კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 19 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„ტორპედო"	11	7	2	2	18-7	16
„კარპატი"	11	5	3	3	17-13	13
„დინამო" მ.	11	6	1	4	11-8	13
ცსკა	11	5	2	4	19-13	12
„დინამო" თბ.	10	4	4	2	11-7	12
„სპარტაკი"	11	4	3	4	13-12	11
„ლოკომოტ."	11	5	1	5	11-11	11
„ზენიტი"	11	4	3	4	14-15	11
„დინამო" ქ.	11	3	5	3	12-13	11
„კრ. სოვ."	11	4	3	4	10-12	11
„არარატი"	11	3	4	4	12-14	10
„ჩერნომ."	11	5	0	6	10-17	10
„დნეპრი"	11	4	1	6	10-14	9
„შახტ."	10	2	4	4	6-6	8
„დინამო" მნ.	11	2	4	5	8-14	8
„ზარია"	11	3	2	6	7-15	8

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ლისაბონი. მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის პირველ ჯგუფში შესარჩევი მატჩი გამართეს პორტუგალიისა და პოლონეთის ფეხბურთელებმა მასპინძელთა კარში ორი ბურთი გაიტანეს პოლონელთა ნაკრების თავდამსხმელმა ლიატმ — 2:0.

ლიუქსემბურგი. მეორე შესარჩევი ჯგუფის შეხვედრაზეც სტუმრებმა გაიმარჯვეს. ამჯერად იტალიელებმა ანგარიშით 4:1 მოუგეს ლიუქსემბურგის ნაკრებს.

მინსკი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მექსიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთელთა ნაკრები ჯუნდები. ანგარიშით — 3:0 გაიმარჯვეს მექსიკელებმა.

რიგაში. საბჭოთა კავშირის ნაკრების რეგბისტებმა ევროპის პირველობაზე წააგეს პრაღის ახლოს ქალაქ რეჟიხაში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 6:9. 30 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის ნაკრები თბილისში მიიღებს შეეცის რეგბისტებს.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ. მსოფლიოს პირველობის ჩოგანის წყოდებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან უიმბლდონის ჩემპიონი შვედი ბიორნ ბორგი და ცნობილი რუმინელი ჩოგბურთელი ილიე ნასტასე. ისინი სხვადასხვა ქვეყანაში ოფიციალური მატჩების სერიას მართავენ. აჯარჯერად ისინი ოსლოში შეხვდნენ ერთმანეთს. ანგარიშით 2:6, 7:5 და 6:0 გაიმარჯვა რუმინელმა ჩოგბურთელმა.

ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲒᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

მეგობრობის თეატრის მერიდიანები

ᲝᲠᲘᲝᲜᲓᲔ წელია, რაც „მეგობრობის თეატრი" არსებობს და მან უკვე ჩვენი ქალაქის ხელოვნების მოყვარულთა დიდი ყურადღება მიიპყრო. მისი შექმნა განაპირობა ჩვენი რესპუბლიკის ხალხთა მეგობრულმა ურთიერთობამ მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან, მათს ხელოვნებასთან. ბოლო დროის კონტაქტებმა, მკაფიოდ გამოხატულმა ინტერნაციონალურმა სულისკვეთებამ ხელოვნებაშიც ჰპოვა გამოძახილი. გაიზარდა მოთხოვნილება მოძმე რესპუბლიკების თეატრალური ხელოვნებისადმი. ვრცელია ჩვენი ქვეყანა და უფრო ვრცელია ხელოვნების მერიდიანები. მან საზღვრები არ იცის და რადგან ძნელია ხელოვნების მოყვარულმა ყველაფერს, რაც მსოფლიოს თეატრების სცენაზე ხდება, ოვალური ადევნოს, დღის წესრიგში დადგა საგასტროლო ურთიერთობის გაფართოება, რაც სწორედ „მეგობრობის თეატრმა" ითავა. იგი ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის **დავითის ალექსიძის** ინიციატივით.

გუშინ „მეგობრობის თეატრმა" თავისი ახალი ხეზონი გახსნა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა დიმიტრი ალექსიძეს და ჩაიწერა მისი საუბარი, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ:

— „მეგობრობის თეატრს" ეს სახელი მივანიჭეთ იმიტომ, — თქვა დ. ალექსიძემ, — რომ იგი მის დანიშნულებასა და არსს ზუსტად გამოხატავს. თეატრი მოწოდებულია სწორედ მეგობრული კონტაქტებისათვის. ჩათა ფართოდ გაუღოს კარი მეგობრულ ხელოვნებას, რომლის მიმართ ინტერესი და ყურადღება ჩვენში დღითიდღე იზრდება.

ჩვენთან საგასტროლოდ უკვე იყვნენ მოსკოვის „სოვრემენნიკი" და „მოსსოვეტის" სახელობის, ქ. პანეფიქისის დრამატული, ტალინის სახელმწიფო აკადემიური, მოსკოვის სატირისა და გორკის სახელობის აკადემიური თეატრები, ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრი სსრკ სახალხო არტისტის გ. ტოვსტონოგოვის ხელმძღვანელობით, ერევნის სახელმწიფო დრამატული თეატრი სსრკ სახალხო არტისტის ჰ. კაპლანიანის ხელმძღვანელობით.

ყველა გასტროლიორს, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ზემოთაღნიშნულიც კმარა იმის დასტურად, თუ რაოდენ მრავალფეროვან არჩევანს ვთავაზობთ თბილისელებს.

გუშინ თბილისში „მეგობრობის თეატრის" ახალი სეზონი გახსნა ლატვიის პ. უსპტის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში მან წარმოადგინა ტენესი უილიამსის ცნობილი პიესა „ტრამვაი, „სურვილი". უნდა დავძინო, რომ ლატვიელთა ეს სპექტაკლი ხელოვნების სპეციალისტთა მიერ ბრწყინვალედ არის შეფასებული. მასში მონაწილეობენ ლატვიის სახალხო არტისტები ანტრა ლიედსალნინია და ელეონორა დუდა, მსახიობები იურის პლიავინნი, ირინა ტომსონე, ვერა სელგა და სხვ.

სპექტაკლის დამდგმელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლატვიის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალფრედ იაუნუშანსი.

21 ოქტომბერს თბილისის ხორავას სახელობის მსახიობის სახლის შენობის სცენაზე გამოვა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ლიდია ფრეიმანე; საკონცერტო პროგრამაშია ბრეხტის ნაწარმოებები.

გარდა ამისა წლევანდელ თეატრალურ სეზონში რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში ნოემბრის დამლევს სპექტაკლებს გამართავს მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის აკადემიური თეატრი. ვნახავთ ჰ. გოცის „პრინცესა ტურანდოტს" და ა. ვეიცგერისა და ა. მიშარინის „ასეთ დღეს".

მომავალი წლის იანვარში მოსკოვის ერმოლოვას სახელობის სახელმწიფო თეატრი გვეწვევა, რომელიც წარმოგვიდგენს პიესებს — ა. ვამპილოვის „შარშან ზაფხულს ჩულიმოსში", ა. ოსტროვსკის „ხვნის ციგაზე ნუ დაჯდები" და ფ. დიურენმატის „ასრულებს სტრინდბერგი".

გარდა ზემოთაღნიშნული კოლექტივებისა, მეგობრობის თეატრში გვეწვევიან მოსკოვის თეატრები „მალაია ბრონნაიაზე", „ტაგანკის თეატრი", ბაკოს ახუნდოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

როგორც ვხედავთ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრის" აფიშა ბევრ საინტერესო სპექტაკლს გვპირდება.

თბილისელები შაბათობაზე

16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ საერთო საქალაქო შაბათობაზე სამეშაოდ ენთუზიაზმით გამოვიდა დაახლოებით ორასი ათასი თბილისელი — ყველა სამრეწველო საწარმოსა და მშენებლობის, დაწესებულების, ორგანიზაციისა და სასწავლებლის წარმომადგენლები.

ლენინის რაიონის მშრომელებმა ამ დღეს დაახლოებით ათასი კვადრატული მეტრი კორდი დადგეს გლდანის ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონში, 26 კომისრის სახელობის რაიონის ბევრი საწარმოსა და დაწესებულების მეშეებმა და მოსამსახურეებმა მოასწორეს ათი ათასი კვადრატული მეტრი მოეწყობელი ტერიტორია.

ქალაქის მშრომელებმა გაამწვანეს ქიროვის, საქარხნო, ოქტომბრის, ორჯონიკიძის რაიონები.

დიდი შთაგონებით შრომობდა შაბათობის დღეს თბილისის სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების ასობით მექანიზატორი და თვითმცლელის მძღოლი. მათ ამ დღეს ქალაქიდან დაახლოებით 300 ავტომანქანა ნაგავი გაიტანეს. (საქინფორმი).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯიგიტები" (თურქმენეთი), 10.40 — მეცხრეკლასელთათვის — გეომეტრია, 11.10 — ი. ტურგენევი. სატელევიზიო სპექტაკლი „ტეპის მეფე ლირი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — მხატვრული ფილმი „სიცოცხლის ყოველი დღე", 17.00 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 17.30 — გაცხადებები, 18.20 — „მეგობრობა ბაზად და ხიდად" — ლიტვა (განმეორებით), 19.35 — კონცერტი, 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,